ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელს,

ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგით მეათე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 6 დეკემბერს განიხილა შემდეგი საკითხი:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი.

მრჩეველთა საბჭოს სხდომას ასევე ესწრებოდა ბათუმის მერის ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს წევრებიც.

წარმოგიდგენთ მოსაზრებებს და წინადადებებს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტისთვის:

დავით ქობულაძის მოსაზრება: აჭარაში დღეს ჰოსპისური მომსახურება თითქმის არ არსებობს. სტაციონარული მომსახურება პალიატიურ პაციენტებზე მხოლოდ ერთ კლინიკაში არის, კერძოდ, "მედცენტრში" და ისიც ძალიან მცირე კონტიგენტზეა გათვლილი, ბინაზე კი არ არის. ჩემი აზრით პალიატიური პაციენტების ბინაზე მოვლის პროგრამის განახლება ან ჰოსპისის ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბება აუცილებელია. ჰოსპისის საქმიანობაში გათვალისწინებული უნდა იყვნენ სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალები – ექიმები, ექთანები, სოციალური მუშაკები და შინმოვლის სპეციალისტები. შესაძლებელია ფარმაცევტების, კვების სპეციალისტებისა და ფიზიოთერაპევტების მონაწილეობაც. ჰოსპისის პროგრამა აჭარაში საერთოდ არ არსებობს, არც ბავშვთა და არც ზდასრულთა ჰოსპისი. ქრონიკული და უკურნებელი სენით დაავადებული ბავშვებიცა და ზდასრულებიც იმსახურებენ მოვლა-პატრონობასა და მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას. ასეთი ტიპის პაციენტები ხშირად იტანჯებიან, არ აქვთ რესურსი და ესაჭიროებათ გვერდით დგომა. ჰოსპისის პაციენტები ხშირად მარტოხელა მოხუცები არიან, მათ არ ჰყავთ ნათესავები, აქვთ მძიმე სოციალური მდგომარეობა და მათზე ზრუნვა ჰოსპისმა უნდა აიღოს. ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ საკვები, მედიკამენტები, დავეხმაროთ გარემოს მოწესრიგებაში, ჩაუტარდეთ სამედიცინო მანიპულაციები და ვანუგეშოთ, ემპათია არის ის, რაც მათ ყველაზე მეტად ესაჭიროებათ.

ამიტომ, მიგვაჩნია,რომ საჭიროა პალიატიურ მზრუნველობაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობა, რაც პაციენტების სიმპტომების ინტენსივობას შეამცირებს, ასევე თავად მომაკვდავისა და მისი ოჯახის წევრების განათლებაში დაეხმარება, ეს კი პაციენტს სათანადო მოვლას უზრუნველყოფს და მყუდრო გარემოს შეუქმნის. გარდა სამედიცინო პერსონალის დახმარებისა, სოციალურმა მუშაკებმა, ღვთისმსახურებმა და მოხალისეებმა ინტერპერსონული, სულიერი და ფინანსური საკითხების მოგვარება უნდა უზრუნველყონ. დასკვნა: აუცილებელია საყოველთაო ხელმისაწვდომობა და ვფიქრობთ, რომ აჭარის მოსახლეობის პალიატიური პაციენტებს ესაჭიროებათ მხარდაჭერა, შესაბამისად, სასურველია ამ პროგრამის ამოქმედება.

ბატონო არჩილ, მრჩეველთა საბჭომ საკითხები განიხილა დისკუსიის ფორმატში. ამ სარეკომენდაციო წერილს თანდართულ ფაილად თან ერთვის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რამინ მაჭარაშვილის მოსაზრებები. (PDF ფაილი)

პატივისცემით,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გუდავა

07.12.2022